

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია: მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური საინჟინრო-საპროექტო ცოდნის მქონე დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტირებული აგროინჟინერი, როგორც განათლების შემდგომი საფეხურისთვის, ასევე დასაქმების ფართო ბაზრისთვის, რომელსაც ეცოდინება ნიადაგების დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება; ბუნებრივი წყლის რესურსების ხარისხის დაცვა-გაუმჯობესება და ინტეგრირებული მართვა; თანამედროვე აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტება-ექსპლუატაცია ბუნებრივ-ანთროპოგენური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- გააჩნია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ფართო ცოდნა აგროსაინჟინრო პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის;
- ატარებს ლაბორატორიულ სამუშაოებს ნიადაგების წყლოვან-ფიზიკური და ქიმიურ-ბიოლოგიური შემადგენლობის დასადგენად;
- ლაბორატორიულად ადგენს ბუნებრივი და ჩამდინარე წყლების ხარისხს ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური შემადგენლობის მიხედვით;
- ეფექტურად ახორციელებს აგროსაწარმოებში გარემოსდამცავ ღონისძიებებს, აგროსაინჟინრო მოწყობილობების ექსპლუატაციით;
- იყენებს სასოფლო-სამეურნეო სამანქანო ტექნოლოგიებს ნიადაგური პირობების გაუმჯობესების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით;
- აპროექტებს სადრენაჟე და საირიგაციო სისტემებს, ნიადაგის წყალ-ჰაეროვანი პირობების გაუმჯობესების მიზნით წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- აპროექტებს წყალსამეურნეო კომპლექსს ტექნიკურ-ეკონომიკური და ობიექტის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ამყარებს კომუნიკაციას შესაბამისი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დამოუკიდებლად გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებას;
- პასუხისმგებლობით წარმართავს აგროინჟინერის კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, პროფესიული ეთიკის პრონციპების დაცვით.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	უცხოური ენა 1	
1.1	ინგლისური ენა – 1	5
1.2	გერმანული ენა - 1	
1.3	ფრანგული ენა -1	
1.4	რუსული ენა -1	
2.	აგრონომიის საფუძვლები	5
3.	კალკულუსი 1	5
4.	ზოგადი ქიმია	5
5.	გამოყენებითი ინფორმატიკა	5
6.	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	5
7.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
8.	უცხოური ენა 1	
8.1	ინგლისური ენა -2	5
8.2	გერმანული ენა 2	
8.3	ფრანგული ენა–2	
8.4	რუსული ენა -2	
9.	კალკულუსი 2	5
10.	შესავალი კლასიკურ ფიზიკაში I	6
11.	ბიოლოგია ინჟინრებისათვის	4
12.	საინჟინრო გრაფიკა და დაპროექტების საფუძვლები	5
13.	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	5
14.	უცხოური ენა 3	
14.1	ინგლისური ენა 3	5
14.2	გერმანული ენა 3	
14.3	ფრანგული ენა 3	
14.4	რუსული ენა 3	
სავალდებულო კურსები		
15.	შესავალი კლასიკურ ფიზიკაში II	6
16.	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები	5

17.	საჯარო გამოსვლის ტექნიკის საფუძვლები	4
18.	აგროინჟინერიის საფუძვლები	5
19.	არჩევითი ჰუმანიტარული კურსები (5 კრედიტი)	
19.1	სოციოლოგია	5
19.2	გამოყენებითი ფსიქოლოგია	
19.3	დემოკრატია და მოქალაქეობა	
19.4	რელიგიების ისტორია	
19.5	პოლიტოლოგია	
19.6	ფილოსოფიის შესავალი	
უცხოური ენა 4		
20.1	ინგლისური ენა 4	5
20.2	გერმანული ენა 4	
20.3	ფრანგული ენა 4	
20.4	რუსული ენა 4	
სავალდებულო კურსები		
21.	კარიერის დაგეგმვა	5
22.	საინჟინრო სტატისტიკა	6
23.	საინჟინრო გეოლოგია და გარემოს დაცვა	4
24.	დაპროექტება და პროექტის მართვა	5
25.	შრომის უსაფრთხოება აგროსაწარმოებში	5
სავალდებულო კურსები		
26.	საინჟინრო ჰიდროლოგია და ჰიდრაულიკა	6
27.	საინჟინრო სტატისტიკა	6
28.	მასალათა მექანიკა	7
29.	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) და ბუნებრივი რესურსების მართვა	6
30.	პროგრამული უზრუნველყოფის „AutoCad“-ის გამოყენება საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტაში	5
სავალდებულო კურსები		
31.	საინჟინრო თერმოდინამიკა	5
32.	მიკრობიოლოგია ინჟინრებისათვის	5
33.	გარემოს დაცვის ინჟინერია	5
34.	ჰიდროგეოლოგია	5
35.	თავისუფალი კომპონენტები (5 კრედიტიანი კურსი)	
35.1	გლობალური ცვლილებები	5
35.2	გარემოს დაცვითი გეოგრაფია	
35.3	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	
35.4	ზოგადი ეკოლოგია	
35.5	სამელიორაციო ჰიდროგეოლოგია	
35.6	სასმელი და ჩამდინარე წყლების გაწმენდა	
35.7	ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები	
35.8	წყალთა მეურნეობის ეკონომიკა	

35.9	მიკროეკონომიკის საფუძვლები	
35.10	შესავალი სპეციალობაში	
	სავალდებულო კურსები	
36.	ნიადაგი და გარემოს დაცვის ხარისხი	5
37.	ნიადაგური პირობების გაუმჯობესება - ირიგაცია და დრენაჟი	6
38.	ნიადაგისა და წყლის დაცვის სისტემები	4
39.	აგროსაინჟინრო პროექტირება - წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა	5
40.	სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია	5
41.	არჩევითი სპეციალობის კურსები (5 კრედიტი)	
41.1	გამოყენებითი რიცხვითი მეთოდები აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში	5
41.2	საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით	
41.3	სითხეების მექანიკა	
41.4	ელემენტარული დიფერენციალური განტოლებები	
41.5	აპარატურა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში	
	სავალდებულო კურსები	
42.	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	5
43.	ნიადაგისა და წყლის რესურსების მონიტორინგი	5
44.	მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია	5
45.	საწარმოო პრაქტიკა - წყლის მონიტორინგი	7
46.	საწარმოო პრაქტიკა - ნიადაგების გაუმჯობესება	8